დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 18000(თვრამეტი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებული დახმარება ბენეფიციარებისათვის თვეში 300(სამასი) ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია :

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულები.

მუხლი 5.დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ :

ა) განცხადება (არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობლის) .

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა.

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში .

დ) არასრულწლოვნის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი.

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

ვ)შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების წესი :

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯომარე გიორგი ბარათაშვილი